



აღმოსავლეთის პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



### საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 ოქტომბერი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ივანე ჩხიკვაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
3. ნაზი ჯანეზაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
7. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი
8. ნათია აბრამია - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი

### განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შედეგები
2. ეროვნული პლატფორმის პროექტების მიმდინარეობა
3. ევროკომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მომზადება
4. პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების რიგით მეხუთე ფორუმის შედეგებზე, რომელიც მიმდინარე წლის 4-5 ოქტომბერს ჩატარდა მოლდოვაში, კიშინიოვში. საქართველოს დელეგაციის ინიციატივით

ფორუმზე მიღებული იქნა სამი რეზოლუცია: **პირველი რეზოლუცია** ეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროინტეგრაციის პრიორიტეტულობას ევრაზიულ საბაჟო კავშირთან მიმართებაში. **მეორე რეზოლუცია** მიღებულია სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ საზღვრის გადმოწვევასთან დაკავშირებულ პროცესებზე. **მესამე რეზოლუციის** თემას წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში უკანონო მოსმენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

საქართველოს დელეგაციამ ფორუმზე ეროვნულ კოორდინატორად აირჩია ივანე ჩხიკვაძე, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი. ეროვნული კოორდინატორის თქმით, ამ ეტაპზე მუშაობას აგრძელებს ფორუმის ძველი სამეურვეო კომიტეტი. ვილნიუსის სამიტზე კი ახალი კომიტეტი ოფიციალურად შეუდგება თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ფორუმზე მეოთხე ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა ორი ახალი ქვეჯგუფი: ახალგაზრდული და ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მომავალ წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი ჩატარდება საქართველოში. 2013 წლის ფორუმს წინ უსწრებდა ახალგაზრდული ფორუმი. მეოთხე ჯგუფის კოორდინატორების თქმით, გაჩნდა იდეა, რომ მომავალ წელს საქართველოშიც ჩატარდეს მსგავსი ფორუმი. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები როგორც ფორუმის 4 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორთან, ასევე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორთან. ორივე მხრიდან არსებობს ინტერესი და დაფინანსების მზაობა. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ჯგუფის კოორდინატორები მოამზადებენ პროექტის მოკლე მონახაზს, რომელსაც ეროვნული კოორდინატორი ვილნიუსის სამიტზე წარუდგენს ფორუმის სამეურვეო კომიტეტს.

პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმა აღიარებულია ყველაზე წარმატებულ პლატფორმად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პლატფორმებს შორის. ამის დასტურია ისიც, რომ პლატფორმის თავმჯდომარემ ნაციონალური პლატფორმების კოალიციისგან, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მომუშავე მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებს, მიიღო საქართველოს ეროვნული პლატფორმის გაწევრიანების მოწვევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკომისიის რეკომენდაციით ეს მოწვევა აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმებიდან მიიღო მხოლოდ საქართველოს პლატფორმამ. გადაწყდა, რომ პლატფორმის თავმჯდომარე კოალიციის შესახებ ინფორმაციას გადაუგზავნის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და შემდეგ შეხვედრაზე მოხდება გაწევრიანების საკითხის განხილვა.

პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ფორუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მხოლოდ 50 - მა ორგანიზაციამ, მაშინ როცა წინა წელს კომიტეტმა 150 - ი განაცხადი მიიღო. ამასთანავე, ორგანიზაციების ძირითადმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო პირველი ჯგუფის მუშაობაში. საბჭოს წევრების აზრით, საჭიროა ორგანიზაციები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი ფორუმის ყველა სამუშაო ჯგუფში.

დამსწრეებმა იმსჯელეს ეროვნული პლატფორმის პროექტების მიმდინარეობის საკითხზე. პლატფორმის გაძლიერების პროექტის ფარგლებში მზადდება მონიტორინგის ანგარიშები. დოკუმენტების ძირითად ნაწილზე მუშაობა უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს ანგარიშების ავტორებისთვის შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება. ეროვნული კოორდინატორის თქმით, წარმატებით ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების

ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტი. წლის ბოლომდე დარჩენილია სამი ძირითადი აქტივობა. ერთ-ერთი უკვე დაწყებულია და გულისხმობს ეროვნული პლატფორმის ვებგვერდის ტექნიკურ და შინაარსობრივ გაძლიერებას. მეორე და მესამე აქტივობის ფარგლებში უნდა მომზადდეს კვლევები მწვანე ეკონომიკისა და ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ. კვლევების მომზადება სამუშაო თემატიკის შესაბამისად დაევალებათ მეორე და მესამე სამუშაო ჯგუფებს.

საბჭოს წევრებმა მესამე საკითხად განიხილეს ევროკომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მომზადების საკითხი. ეროვნული კოორდინატორის თქმით, მიმდინარე წლის 5 სექტემბერს მთავრობამ დაამტკიცა ევროინტეგრაციის ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგია და სამინისტროებს დაავალა სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროცესს კოორდინაციას უწევს ევროინტეგრაციის სამინისტრო. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ეროვნული პლატფორმა მთავრობას წარუდგენს თავის ხედვას სტრატეგიის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. გადაწყდა, რომ სამუშაო ჯგუფები 25 ოქტომბრისათვის შეჯერდებიან იმ აქტივობებზე, რომლის განხორციელებასაც საჭიროდ მიიჩნევენ 2014 წლისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგიის შესასრულებლად.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი რვა ორგანიზაციის განაცხადი. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა შვიდი ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი
2. ჯანმრთელი ბავშვები
3. ახალგაზრდა სოციალისტები
4. გადავარჩინოთ მომავალი თაობა
5. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
6. საგზაო უსაფრთხოება
7. თავისუფალი არჩევანი

საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ხარისხის ფონდის განაცხადი განსახილველად გადაიგზავნება მეორე სამუშაო ჯგუფში.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია